



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება: ბ135. 135243451

თარიღი: 10/12/2024

### მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მაიზერ ჯაფარიძის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 62-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

#### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაშვებულ იქნას შვებულებაში, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მაიზერ ჯაფარიძე, 2024 წლის 16 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, 12 (თორმეტი) სამუშაო დღის ვადით.
2. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრო: მიმდინარე წლის 16 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს - ვალოდია ჭკადუას, მიმდინარე წლის 25 დეკემბრიდან მომდევნო წლის 01 იანვრამდე მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს - ზაურ ჩართოლანს.
3. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
4. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს საშვებულებო თანხის წინასწარ ანაზღაურება.
5. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ( მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

